

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

პარალიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის
პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

თბილისი

2017წ.

1. პროგრამის ძირითადი არსი და მიზანი:

პროგრამის მიზანია :

- საქართველოში პარაოლიმპიური სპორტის განვითარების პროგრამა წარმოადგენს იმ აუცილებელი მიმართულებების რეალიზაციის გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში მაქსიმალური შედეგების მიღწევას.
- სასწავლო-საწვრთნელ პროცესში დასაქმებულ მწვრთნელებისათვის პარაოლიმპიური მოძრაობის თანამედროვე გამოცდილების დანერგვა.
- პარაოლიმპიური სპორტის სახეობებში საწვრთნო პროცესისა და საშეჯიბრო პრაქტიკის სრულყოფა.
- პარაოლიმპიური სპორტის სახეობების ნაკრები გუნდებისათვის ინდივიდუალური პროგრამით მომზადებული საწვრთნელი შეკრებების მაღალ დონეზე ჩატარება.
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისა და რეაბილიტაციის სისტემის შემუშავება და პარაოლიმპიური ეროვნული, (სახეობების მიხედვით) ნაკრები გუნდების სრული სამედიცინო უზრუნველყოფა.
- სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე, სალიცენზიო ასპარეზობებზე მაღალი შედეგების მიღწევა. პარაოლიმპიური თამაშებისათვის სრულყოფილი მზადება.
- საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტთან აქტიური მუშაობა სხვადასხვა რანგის (საერთაშორისო, გრანპრის ეტაპი) შეჯიბრების ჩატარების უფლების მოსაპოვებლად.

პროგრამის ძირითადი არსი:

- საქართველოში პარაოლიმპიური განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია;
- ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის, საჭირო პირობის შექმნა, პარაოლიმპიური სპორტის სახეობების აუცილებელი განვითარება და მათი ერთიან სისტემაში მოქცევა;
- საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებისა და სხვა მომსახურე პერსონალის სახელფასო ბაზის სრულყოფა.
- პარაოლიმპიური მოძრაობის შემდგომი წინსვლისათვის ხელშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება.
- პარაოლიმპიურ სპორტის სახეობებში საქართველოს ჩემპიონატების ჩატარება.
- საქართველოს პარაოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრთა სპორტული ეკიპირება.
- სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში მონაწილეობა.
- პარაოლიმპიური სპორტის სახეობების, როგორც წარმატებული სპორტის სახეობის პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის, ინვესტიციების (სპონსორობის) განსახორციელებლად.
- საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ქართულ პარაოლიმპიურ სპორტში მიმდინარე პროცესებზე;
- მსაჯთა ატესტაცია და შიდა სემინარების ორგანიზება, მსაჯთა სხვადასხვა საერთაშორისო საატესტაციო ტრენინგებზე მსაჯთა მივლინება.

- მწვრთნელების ატესტაცია და პარაოლიმპიური სპორტის თანამედროვე მიმდინარეობის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების მოწყობა;
- პარაოლიმპიური სპორტის სახეობების სპეციფიკიდან გამომდინარე საერთაშორისო და ეროვნულ ჩემპიონატზე დაშვების სისტემის სრულყოფა.
- პარაოლიმპიური სპორტის რეგიონული განვითარების ხელისშეწყობის მიზნით ეროვნულ პარაოლიმპიური კომიტეტთან რეგიონული ფილიალების ჩამოყალიბება და განვითარება.

2. პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება – 01.01.2017

დასრულება - 31.12.2017

3. საერთო ღირებულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის ასიგნება შეადგენს 450 000 ლარს, რომელიც მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

საქართველოს პარაოლიმპიური ნაკრები გუნდების ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა;

- საქართველოს პარაოლიმპიური გუნდების მწვრთნელების და მომსახურე პერსონალის მომსახურების ანაზღაურება;
- სხვადასხვა რანის საერთაშორისო ტურნირებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა.
- სასწავლო-სწვრთნელ შეკრებებსა და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგები:

- პროგრამის დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუწობს ხელს საქართველოში პარაოლიმპიური სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას, შშმ პირებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, გაიზრდება სპორტში ჩაბმულ შშმ მოზარდთა რაოდენობა, მოხდება მათი სოციალური ადაპტაცია და რეინტეგრაცია, გაუმჯობესდება შშმ პირთა ცხოვრების ხარისხი, მოიმატებს საზოგადოების ინტერესი შშმ პირებისა და კერძოდ სპორტსადმი ინტერესი. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება აგრეთვე მნიშვნელოვნად შეუწყობს სპორტული ობიექტების ადაპტირებასა და მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც შესაბამისად გაზრდის შშმ პირებისათვის სპორტში, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ხელმისაწვდომობას.
- მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები;

- ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

ინდიკატორები:

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;